# GCF GEFF რეგიონალური - საქართველო - თიბისი ბანკი II

| | |
|---|---|
| **ქვეყანა:** | საქართველო |
| **პროექტის ნომერი:** | 55248 |
| **ბიზნეს სექტორი:** | სადეპოზიტო-საკრედიტო ინსტიტუტები (ბანკები) |
| **გამოქვეყნების ტიპი:** | კერძო |
| **გარემოსდაცვითი კატეგორია:** | FI |
| **დამტკიცების თარიღი:** | 19 მარტი 2024 |
| **სტატუსი:** | დამტკიცებული |
| **ინგლისურ ენაზე PSD-ს გამოქვეყნება:** | 21 მარტი 2024 |

## პროექტის აღწერა

თიბისი ბანკისთვის ('TBC') გამოიყოფა პირველი რიგის არაუზრუნველყოფილი სესხი 25 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით, საიდანაც 75%-ს (18,75 მილიონი აშშ დოლარი) დააფინანსებს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი („EBRD") და 6.25 მილიონ აშშ დოლარს მწვანე კლიმატის ფონდი („GCF") მიერ GCF-მწვანე ეკონომიკის დაფინანსების ფონდის („GEFF") რეგიონული პროგრამის ფარგლებში.

## პროექტის მიზნები

პროექტი საშუალებას მისცემს ბანკს განახორციელოს ადგილობრივი ფიზიკური პირების, მცირე და საშუალო ბიზნესისა და კორპორატიული კლიენტების მიერ კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის ტექნოლოგიებში ინვესტიციების დაფინანსება, GEFF-ის რეგიონალური (საქართველოში განხორციელებული პროგრამა) პოლიტიკის სტანდარტებისა და ანგარიშგების მოთხოვნების შესაბამისად, გენდერული საკითხების გათვალისწინებით. პროექტის მიზანია სესხის თანხის 100 პროცენტი შეესაბამებოდეს EBRD-ის მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის ('GET') მიდგომას, GET სახელმძღვანელოს შესაბამისად.

# შუალედური შედეგი

ETI ქულა 65

პროექტი ხელს უწყობს 'მწვანე' ეკონომიკაზე გადასვლას ფინანსური შუამავლების დაფინანსებისა და ნოუ-ჰაუს უზრუნველყოფით, რომლებიც თავის მხრივ დააფინანსებენ კერძო სექტორის ინვესტიციებს კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის ეფექტურ ტექნოლოგიებში. პროექტი უზრუნველყოფს საქართველოს დაბალ ნახშირბადიანი და კლიმატის ცვლილებისადმი გამძლე ეკონომიკაზე გადასვლას.

## ინფორმაცია კლიენტის შესახებ

სს თიბისი ბანკი

თიბისი ბანკი (თიბისი) არის წამყვანი უნივერსალური ბანკი საქართველოში, რომელიც ფლობს მთლიანი საბანკო აქტივების, საკრედიტო და სადეპოზიტო პორტფელის საბაზრო წილის მესამედზე მეტს. ბანკი საცალო, კორპორატიულ და მცირე და საშუალო ბიზნესის კლიენტებს სთავაზობს პროდუქტებისა და სერვისების ფართო სპექტრს (მათ შორის, სავალუტო ოპერაციები და არაფინანსური მომსახურება ბიზნესის განვითარებისთვის, ლიზინგი, საბროკერო და საინვესტიციო საბანკო მომსახურება, მათ შორის თიბისის შვილობილი კომპანიების მეშვეობით) 135-ზე მეტი ფილიალის და ციფრული არხების მეშვეობით.

# EBRD-ის დაფინანსების ჯამი

18,750,000.00 აშშ დოლარი.

# პროექტის მთლიანი ღირებულება

25,000,000.00 აშშ დოლარი.

## გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხები

მინიჭებული აქვს კატეგორია FI (ESP 2019). თიბისი ბანკი EBRD-ის დიდი ხნის კლიენტია. მიმდინარე და წინა პრეოქტების გათვალისწინებით და EBRD-ის მოთხოვნების დაცვისა და ანგარიშგების კუთხით, ბანკებს თანამშრომლობის კარგი გამოცდილება აქვთ.

## ტექნიკური თანამშრომლობა

**ტექნიკური თანამშრომლობა (TC):** პროექტი მოიცავს ტექნიკურ თანამშრომლობას, რომელიც დაფინანსებულია ავსტრიის ფინანსთა სამინისტროს (BMF) და GCF-ის მიერ. TC-ის მიზანია

დაეხმაროს TBC-ს პროგრამის შესაძლებლობების განვითარებაში, განხორციელებასა და მონიტორინგში. კონსულტანტი შეაფასებს და დაადასტურებს ქვემსესხებლების მიერ ინვესტიციების ტექნიკურ განხორციელებას საჭიროების შემთხვევაში. კონსულტანტი საცალო მცირე და საშუალო ბიზნესსა და კორპორატიულ კლიეტებს გაუზიარებს ცოდნას და იზრუნებს მათ ცნობიერების ამაღლებაზე კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის ტექნოლოგიების შესახებ გენდერული პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, ასევე, უზრუნველყოფს პროექტის შეფასების მხარდაჭერას და დაეხმარება ქვემსესხებლებს ყველაზე ოპტიმალურ ტექნოლოგიების შერჩევაში.
**არა ტექნიკური (Non-TC): შერეული შეღავათიანი დაფინანსება:** პროექტი მოიცავს Non-TC საგრანტო დაფინანსებას მწვანე კლიმატის ფონდის (GCF) შეღავათიანი თანადაფინანსების სახით. დაფინანსება შედგება EBRD-ისა (75%) და GCF-ის (25%) ნაწილისაგან - 18.75 მილიონი აშშ დოლარი და 6.25 მილიონი აშშ დოლარი, შესაბამისად.

## დამატებითი ფასეულობა

პროექტის ფარგლებში დამატებითი ფასეულობების ძირითადი წყაროებია:

(i) **დაფინანსების სტრუქტურა,** რომელიც არ არის ხელმისაწვდომი ბაზარზე (საშუალო და გრძელვადიანი დაფინანსება გრძელი საშეღავათო პერიოდით);

(ii) **ინოვაციური დაფინანსების სტრუქტურა და/ან ინსტრუმენტები,** ანუ მწვანე საფინანსო ინსტრუმენტი, რომელიც აერთიანებს ისეთ ასპექტებს, როგორიცაა კლიმატი და გარემოს დაცვის, სოციალური და მმართველობის (ESG) სტანდარტები და/ან კლიმატის და ESG რისკის განსაზღვრავს დაფინანსების სტრუქტურაში.

(iii) **სტანდარტების დაწესება,** პროექტებისა და კლიენტებისათვის დახმარების გზით მიაღწიონ უფრო მაღალ სტანდარტებს EBRD-ის ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინებით, ენერგეტიკისა, რესურსების ეფექტურობის და კლიმატის მდგრადობის დაფინანსებასთან დაკავშირებით, ენერგეტიკისა და კლიმატის აუდიტის ტექნოლოგიების მინიმალური სტანდარტების, კლიმატთან დაკავშირებული სტრატეგიებისა და პოლიტიკის, მონიტორინგის, ანგარიშგების და ვე რიფიკაციის (MRV) სისტემების საშუალებით და ა.შ.

(iv) **სტანდარტების დაწესება,** რაც დაეხმარება პროექტებს და კლიენტებს უფრო მაღალი სტანდარტების მიღწევაში, რადგან ბანკი იყენებს მაღალი ფინანსური სტანდარტების, ჩართულობის და გენდერული სტანდარტების სფეროში EBRD-ის გამოცდილებას. (მაგ. ქალებისათვის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება მწვანე დაფინანსებაზე).

## კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია

ქეთევან ბიწკინაშვილი
TBC-IFM@tbcbank.com.ge
+(995 32) 227 27 27
https://tbcbankgroup.com/
მარჯანიშვილის ქ 7, თბილისი, საქართველო 0102

# შუალედური შედეგი

დეტალური ინფორმაციის გაცნობა EBRD-ის შუალედური შედეგების გაზომვასთან დაკავშირებულ მიდგომაზე შესაძლებელია აქ.

# ბიზნეს შესაძლებლობები

ბიზნეს შესაძლებლობებისა და შესყიდვების თაობაზე დაუკავშირდით კლიენტ კომპანიას.

EBRD-თან ბიზნეს შესაძლებლობებთან დაკავშირებული ინფორმაციის მისაღებად (რაც არ უკავშირდება შესყიდვებს) დაუკავშირდით:
ტელ: +44 20 7338 7168
ელ. ფოსტა: projectenquiries@ebrd.com

სახელმწიფო სექტორის პროექტებზე ინფორმაციისთვის ეწვიეთ EBRD Procurement.
ტელ.: +44 20 7338 6794
ელ. ფოსტა: procurement@ebrd.com

# ზოგადი საკითხები

კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია

# გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების პოლიტიკა (ESP)

ESP-ითა და შესაბამისი შესრულების მოთხოვნებით (PR-ები) განსაზღვრულია EBRD-ის მიერ „გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების" მიდგომის განხორციელების გზები. ESP და PR-ები მოიცავს კონკრეტულ დებულებებს, რომ კლიენტებმა დაიცვან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი მოთხოვნები საჯარო ინფორმაციისა და კონსულტაციების შესახებ, ასევე, შექმნან საჩივრების მექანიზმი დაინტერესებული მხარეების მხრიდან საკითხის წამოჭრის, საჩივრების მიღებისა და მართვის მიზნით, უფრო კონკრეტულად, კლიენტისა და პროექტის გარემოს დაცვისა და სოციალურ საქმიანობასთან დაკავშირებით. პროექტის ეკოლოგიური და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების ბუნებისა და მასშტაბის შესაბამისად, EBRD დამატებით მოითხოვს კლიენტებისაგან, რომ მათ, საჭიროებისამებრ, გააზიარონ ინფორმაცია პროექტების შედეგად წარმოქმნილი რისკების და ზემოქმედების შესახებ, ან ჩაატარონ არსებითი კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან და განიხილონ და რეაგირება მოახდინონ მიღებულ უკუგებაზე.

დეტალური ინფორმაცია EBRD-ის საქმიანობასთან დაკავშირებით მოცემულია.

## ერთიანი მიდგომა და სტანდარტების დაცვა

EBRD-ის მთავარი შესაბამისობის ოფიცრის ოფისი (OCCO) ხელს უწყობს კარგ მმართველობას და უზრუნველყოფს ბანკის საქმიანობის პროცესში უმაღლესი სტანდარტების შესრულებას საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. ბანკის ყველა კლიენტის შემთხვევაში ტარდება კომპლექსური ტექნიკური კვლევა იმისათვის, რომ პროექტებმა არ შექმნან პრინციპების დარღვევის, ან რეპუტაციის შელახვის რისკი ბანკისათვის. ბანკი თვლის, რომ პრობლემების იდენტიფიცირება და მოგვარება პროექტის შეფასების ეტაპზე, ყველაზე ეფექტური საშუალებაა საბანკო ტრანზაქციების მთლიანობის უზრუნველსაყოფად. OCCO გადამწყვეტ როლს ასრულებს დამცავი ზომების გატარების პროცესში და ასევე, ხელს უწყობს პროექტებში ინვესტიციების განხორციელების შემდგომი რისკების მონიტორინგს.

OCCO ასევე პასუხისმგებელია თაღლითობის, კორუფციის და არასათანადო ქცევის შემთხვევების გამოძიებაზე EBRD-ის მიერ დაფინანსებულ პროექტებში. ნებისმიერმა ადამიანმა, ბანკის შიგნით თუ მის გარეთ, რომელსაც გაუჩნდება ეჭვი თაღლითობასთან ან კორუფციასთან დაკავშირებით, წერილობითი ანგარიში უნდა გაუგზავნოს მთავარ შესაბამისობის ოფიცერს ელექტრონულ მისამართზე compliance@ebrd.com. თითოეულ ასეთ შემთხვევაში, OCCO დაიწყებს მოკვლევას. მოხდება თითოეული ანგარიშის, მათ შორის ანონიმურის, განხილვა. ანგარიში შეიძლება დაიწეროს ბანკის რომელიმე სამუშაო ენაზე, ან იმ ქვეყნის ენაზე, სადაც ბანკი საქმიანობს. ბანკისათვის ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს კეთილსინდისიერად.

## ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკა (AIP)

ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის დოკუმენტით, რომელიც ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვარს, განსაზღვრულია EBRD-ის მიერ ინფორმაციის გაზიარებისა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის წარმოების  გზები, ცნობიერების ამაღლებისა და ბანკის სტრატეგიის, პოლიტიკისა და ოპერაციების უკეთ გააზრების ხელშეწყობის მიზნით. EBRD-ის ვებგვერდზე ხელმისაწვდომი ინფორმაციის სანახავად, გთხოვთ, ეწვიოთ ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის გვერდს.

კონკრეტული ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია EBRD-ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის გამოყენებით.

## პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმი (IPAM)

თუ კლიენტთან, ან ბანკთან, გარემოს დაცვის, სოციალური ან საჯაროობის პრობლემების მოგვარების მცდელობა წარუმატებელია (მაგ., კლიენტის მიერ პროექტის დონის საჩივრების მექანიზმის საშუალებით, ან ბანკის მენეჯმენტთან უშუალო კომუნიკაციის გზით), ინდივიდებსა და ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ EBRD–ის პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელ მექანიზმს (IPAM).

IPAM დამოუკიდებელად განიხილავს პროექტის ირგვლივ წამოჭრილ იმ საკითხებს, რომლებმაც გამოიწვიეს, ან შესაძლოა, გამოიწვიონ ზიანი. მექანიზმის მიზანია - პროექტის დაინტერესებულ მხარეებს შორის  დიალოგის ხელშეწყობა გარემოს დაცვის, სოციალური და საჯაროობის საკითხების გადასაჭრელად; ასევე, იმის დადგენა, არის თუ არა ბანკი შესაბამისობაში გარემოს დაცვით და სოციალური პოლიტიკისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებულ დებულებებთან; და სადაც ეს რელევანტურია, აღნიშნულ პოლიტიკის დოკუმენტებთან ნებისმიერი შეუსაბამობის აღმოფხვრა და ბანკის მიერ მომავალი შეუსაბამობის თავიდან აცილება.

გთხოვთ, ეწვიოთ პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმის ვებგვერდს, IPAM–ისა და მის მანდატის შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად, ასევე, იმის დასადგენად, თუ როგორ უნდა წარადგინოთ მოთხოვნა განსახილველად; ან დაუკავშირდით IPAM-ს ელ.ფოსტით, რომ მიიღოთ ინსტრუქცია და ინფორმაცია IPAM–ისა და მოთხოვნის გაგზავნის შესახებ.